

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკლექტიკური პარადიგმა და მისი გამოყენების პარსამქტიკა საქართველოში

ხათუნა ხარხელაური

ეკლექტიკური პარადიგმა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც OLI - მოდელი, ცნობილმა ბრიტანელმა მეცნიერმა ჯონ დანინგმა 1981 წელს შეიმუშავა. ტერმინი „ეკლექტიკური“ შერჩეულ იქნა რადგან, ავტორმა მიზნად დაისახა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მანამდე არსებული თეორიებიდან¹ ადგილი საუკეთესო მეთოდები, სტილი, მოდელები, დოქტრინები და მათგან ყველაზე ღირებული ერთად გაეერთიანებინა. იგი იძლევა კომპანიების პუი-საქმიანობის ფორმებისა და მოდელების ახსნას, განსაზღვრავს მათ ბუნებასა და განვითარების მიმართულებებს. დანინგი ყურადღებას ამახვილებს კონკურენტულ უპირატესობებზე და მათ კლასიფიკაციაზე წყაროების მიხედვით, რომლებსაც ის ყოფს შიდა და გარე წყაროებად.

შიდა წყაროები განსაზღვრავენ ინვესტორი ფირმის პოტენციალს. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთარი კაპიტალის გადაადგილებას და ფირმას საშუალებას აძლევენ მიიღოს შემოსავლები არა მარტო წარმოებიდან, არამედ ამ წარმოების შესაბამისი სეკატორ მოგებაც. ეს არის ე.წ. ინტერნალიზაციის (Internalization) ეფექტი, ე.ი. წარმოების ყველა შიდა ფაქტორებისგან და მათი ყველა ხელსაწყო კომბინაციიდან მიღებული ეფექტი.

გარე წყაროები მიმღებ ქვეყანაში არსებული საბაზრო გარემოს მიერ ფალობდება, თუკი ის ხელსაწყოებად უცხოელი ინვესტორისათვის.

ამ მოსაზრებების საფუძველზე კონკურენტული უპირატესობები დაჯგუფებულია სამ დიდ ბლოკად:

1. „O - უპირატესობები“, რომლებიც გამოწვეულია უცხოელი ინვესტორის მიერ, საკუთრების ფლობის შიდა პოტენციალის გამოყენებით, სხვა ადგილობრივი კომპანიების ამ პოტენციალთან შედარებით. ანუ ინვესტორი ფირმა უნდა ფლობდეს რამდენიმე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, შედარებით უპირატესობას თავის მშობლიურ (შიდა) ბაზარზე, სხვა ადგილობრივი კომპანიებთან შედარებით. ეს შესაკუთრის ისეთი სპეციფიკური უპირატესობებია (Ownership-Specific edventages), რომლების საზღვარგარეთ გატანაც მხოლოდ ამ შესაკუთრეს შეუძლია. იგი მოიცავს ფირმის მიერ

როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური აქტივების ფლობის პრივილეგიას. ისეთი აქტივებისა, რომლებიც მხოლოდ ამ ფირმისთვის არის ხელმისაწვდომი. მაგალითად: ფირმის სახელი; ბრენდი; საკუთარი ტექნოლოგია და ა.შ. ეს უპირატესობები ფირმას საშუალებას აძლევს შექმნას ახალი აქტივები და ამ გზით გაზარდოს თავისი კონკურენტუნარიანობა.

2. „L - უპირატესობები“, ქვეყანას სადაც ფირმა აბანდებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს

უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული თავისებურებები (Location Specific), რომელიც ფირმას საშუალებას მისცემს მოახდინოს თავისი შედარებითი უპირატესობების რეალიზება ამ ქვეყანაში. მაგალითად კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, ბაზრის მოცულობა და ა.შ. ეს არის ის უპირატესობები, რომლებსაც ფლობს რეციფიენტი ქვეყანა.

„I-უპირატესობები“, ეს ის უპირატესობებია, რომლებიც მიიღწევა ფირმის ინტერნალიზაციის პროცესში ჩართვით. ფირმას შეუძლია შეინარჩუნოს თავისი კონკურენტუნარიანობა საქონლის წარმოების და გასაღების მთელ ჯაჭვზე კონტროლის და შესაბამისი ხარჯების ოპტიმიზაციის გზით. ეს მას საშუალებას აძლევს სრულად მიითვისოს თავისი ყველა კონკურენტული უპირატესობის გამოყენებით მიღებული შემოსავალი, და არ გაუნაწილოს ის უცხოურ კომპანიებს, მათთვის თავისი საქონლის ექსპორტირებისთვის გადაცემის ან ლიცენზიის მიყიდვის თავიდან აცილებით.

მოცემული პარადიგმის საფუძველზე ადვილად შეიძლება განისაზღვროს, თუ ფირმა რომელ შემთხვევაში დაიწყებს კაპიტალის გატანისკენ სწრაფვას. კომპანია, რომელიც ფლობს როგორც შედარებით (O), ისე ინტერნალიზაციის (I) უპირატესობებს, გადაწყვეტს ინვესტირებას საზღვარგარეთ იმ შემთხვევაში, როდესაც L-უპირატესობა არარსებობს მის საბაზო ქვეყანაში. და პირიქით, კომპანია იმავე O- და I- უპირატესობებით, უპირატესობას ანიჭებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, თუკი პოტენციური რეციფიენტი ქვეყანა სუსტ L-უპირატესობებს სთავაზობს. იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმას არ შეუძლია დაიცვას თავისი კონკურენტული უპირატესობა, ის შესაძლოა იძულებული გახდეს მიყიდოს ლიცენზია უცხოურ საწარმოებს, იმისათვის რომ ეროვნულ ბაზარზე წარმოების მოცულობა შეინარჩუნოს.

¹ 1) „კუთვნილების თეორია“, რომელიც ერთგვარი პიბრიდია, პ. მევის და რ. კოუზოს პუი-ს და ტეკ-ების თეორიებისა; 2). მ. პორტერის „ერის კონკურენტული უპირატესობის თეორია“ და 3). პ. ბაკლის და მ. კესონის „ინტერნალიზაციის“ თეორია

ინვესტიციები, ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები


OLI-ცვლადები ჯ. დანინგის მიხედვით	
ა) О-უპირატესობა საკუთრების ფლობის უპირატესობა	• კომპანიის ზომა და მისი პოზიციები შიდა და უცხოურ ბაზრებზე; • მეწევემენტი და ლიდერობის უნარი; • სასაქონლო ნოუ-ჰაუ; • საწარმოო ტექნოლოგიები, ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია და მაღალი ტექნოლოგიების სიმძლავრე; • მონოპოლიზაციის დონე, გარკვეული სახის ხელმისაწვდომობა (ექსკლუ-ზიური თუ პრივილეგიებული) რესურსებზე, სამუშაო ძალაზე, ბუნებრივ რესურსებზე; • საუაჭრო ნიშნები; • ორგანიზება და მარკეტინგი;
ბ) I-უპირატესობა ინტერნალიზაციის უპირატესობები-ბაზრის რეგულირება და ცვა და აქტიუბზე კონტროლის შესაძლებლობა	• I-უპირატესობები შესაძლოა განვითარდეს: • სადაც არსებობს მყიდველის მიერ უპირატესობის მინიჭების ცვალებადობა, რომელიც ეხება გაყიდვადი საქონლისა და ტექნოლოგიების ფასებსა და ბუნებას; • სადაც ბაზარი არ უშვებს ფასისმიერ დისკრიმინაციას; • სადაც გამყიდველისთვის აუცილებელია პროდუქციის ხარისხის დაცვა. • I-უპირატესობები შესაძლებლობას იძლევა: • შემცირდეს ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ბაზრის კვლევასთან, მოლაპარაკებებთან და მონიტორინგთან; • მიღწეულ იქნას მასშტაბით გამოწვეული ეკონომია და ურთიერთდაკავშირებული საქმიანობა; • ბაზრის განვითარების ცუდი პერსპექტივის კომპენსირება; • მთავრობის მიერ დაწესებული ბარიერები(კვლევების, ტატიფების, ფასების კონტროლის, საგადასახადო დიფერენციაციის) თავიდან აცილება ან მათი გამოყენება; • მომწოდებლების და გამოყენებული რესურსების მოპოვების პირობების კონტროლი (ტექნოლოგიების ჩათვლით); • გასაღების ბაზრების კონტროლი მათ შორის იმ ბაზრებისა რომელთაც კონკუ-რენტები იყენებენ; • ფილიალების სუფიხიდრების შესაძლებლობის გამოყენება და ფასებზე ზემოქმედება, იმისათვის რომ შემოსავალი დაიბეგროს იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო განაკვეთი უფრო დაბალია
გ) L-უპირატესობები ადგილობრივი უპირატესობები- რომლებიც შეეხება რეციფენტ ან დონორ ქვეყნებს	• რესურსებისა და ბაზრის გეოგრაფიული მდებარეობა; • არსებული ფასების კონკურენცია რესურსებზე: სამუშაო ძალაზე, ენერგეტიკაზე, ნედლეულზე, შემცველ კომპონენტებზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე; • პოლიტიკური სტაბილურობა, ხელისუფლების ბალანსის არსებობა; • პოლიტიკური ლიბერალიზმი: დაბალი ტარიფები, საგადასახადო განაკვეთი, წამახალისებელი მექანიზმები, კეთილგანწყობილი საინვესტიციო კლიმატი; • სტაბილური სამართლებრივი სისტემა; • განვითარებული ფიზიკური ინფრასტრუქტურა: საავტომობილო გზები, რკინიგზა, აეროპორტები, ტელეკომუნიკაციები; • სოციალურ-კულტურული სიახლოვე: ენა , ისტორია. მენტალიტეტი, საქმისადმი დამოკიდებულება • ბაზრის სიდიდის და მისი გრძელვადიანი პოტენციალი (მასშტაბის ეკონომიის შესაძლებლობა)

ჯონ დანინგმა რ. ნარულასთან ერთად (1994წ) თეორიულად ახსნა ქვეყნის „საინვესტიციო განვითარების გზის“ ბუნება და მიმართულებები. რომლის მიხედვითაც ქვეყნის მიერ განხორციელებული და მიზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. მოკლედ რომ ჩამოვყავალობთ ამ თეორიის არსი, შემდეგში მდგომარეობს: საინვეს-

ტიციო განვითარების გზა ხუთ სტადიას გაივლის, რომელთაგან თითოეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეს შეესაბამება. დაბალტექნოლოგიური, შრომატევადი და ძირითადად მოპოვებითი მრეწველობის მქონე ქვეყნები წარმოადგენენ პუი-ს იმპორტიორებს. როგორც კი ისინი იწყებენ კაპიტალტევადი მრეწველობის განვითარებას, მოძრაობას მაღალტექნოლოგიური

მრეწველობის განვითარებისკენ, პუი-ს იმპორტი ამ ქვეყნებში ძლიერდება. თუ ამ პროცესს თან ერთვის ლიბერალური პუი-პოლიტიკა და ექსპორტზე ორიენტირება, ქვეყანა თავად იწყებს პუი-ს ექსპორტირებას. განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია პუი-ს ექსპორტის გადამეტება იმპორტთან შედარებით. ყველაზე განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია პუი-ს იმპორტისა და ექს-

პორტის დაბალანსირებული მდგომარეობა. ეს განსაკუთრებით შესაძლებელია იმ ქვეყნებში, რომლებიც ფლობენ O,L,I უპირატესობების მთელ კომპლექტს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ლიდერობას კაპიტალტექვადი და მაღალტექნოლოგიური მრეწველობის სფეროში. ქვემოთ მოცემულია გრაფიკი, რომელიც ასახავს საინვესტიციო განვითარების გზის დინამიკას:



პარადიგმა ასახავს ქვეყნის, როგორც ინვესტიციების წმინდა ექსპორტიორის პოზიციას (ინვესტიციების წმინდა ექსპორტი (იწე) განისაზღვრება როგორც სხვაობა, უცხოეთიდან მოზიდულ და საზღვარგარეთ განთავსებულ ინვესტიციებს შორის.) დადებითი (იწე)- პოზიცია გვიჩვენებს, რომ ქვეყანა გახდა ინვესტიციების წმინდა ექსპორტიორი, და პირიქით, უარყოფითი პოზიცია კი ქვეყნის წმინდა იმპორტიორობის მაჩვენებელია.

საინვესტიციო განვითარების გზის თეორიის მიხედვით, კომპანიებს აქვთ ტენდენცია განათავსონ ინვესტიციები ისეთ ბაზრებზე, სადაც თანაფარდობა შპს ერთ სულ მოსახლეზე უფრო დაბალია, ვიდრე შპსობლიურ ქვეყანაში, მანამ, სანამ კაპიტალის წარმოშობის ქვეყანა არ მიიღწევს განვითარების მე-5 ფაზას (იხ. გრაფიკი). დადებითი პოზიცია პუი-ს გამავალ ნაკადებთან დაკავშირებით, გვეჩვენებს შეეფასოთ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში გადაადგილებული აქტივების მოცულობა. მიუხედავად ამისა, მუდმივად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ინვესტირების ტენდენცია უნივერსალური არ არის. ის შესაძლოა გამართლებული იყოს ინდივიდუალური კომპანიების დონეზე, მაგრამ არა ქვეყნის მაკროდონეზე. რაც დასტურდება დღეისათვის არსებული პუი-ს კონცენტრაციის მაღალი

დონით ინდუსტრიული განვითარებულ ქვეყნებში.

შპს-ს თანაფარდობა ერთ სულ მოსახლეზე არ არის ერთადერთი დეტერმინანტი ქვეყნის პუი პოზიციის შეფასებაში. ინვესტიციების წმინდა (ნეტო) ექსპორტის ინდექსი ერთ სულ მოსახლეზე იმ ქვეყნებში იქნება უფრო მაღალი, რომლებიც დამოკიდებული არიან შექმნილ აქტივებზე (მაგ: ნოუ-პაუ, ტექნოლოგიები, მენეჯმენტი), რომლებიც აუცილებელია მათი კეთილდღეობისათვის, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი რესურსები უზადაა (მაგ: ჩინეთი-სინგაპური, რუსეთი-უნგრეთი). მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა, ასევე შეიძლება წახალისოს ან დააბრკოლოს ინვესტიციების ექსპორტის ინტენსიურობა და გააღებინა იქონიოს ქვეყნის პუი-ს პოზიციაზე.

ქვეყნის პოზიცია პუი-ს მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკის საერთო დონითაც არის განპირობებული, კერძოდ კი მისი დარგების განვითარების ეტაპებით. ქვეყნები, რომლებიც შრომატექვადი და დაბალტექნოლოგიური წარმოების დონით ხასიათდება და სადაც დომინირებს სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, თითქმის ყოველთვის წარმოადგენენ პუი-ს ნეტო-იმპორტიორებს. (საინვესტიციო განვითარების გზის I-ელი ფაზა). როგორც კი იგი იწყებს კაპიტალტექვადი მრეწველობის განვითარე-

ინვესტიციები, ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

ბას, ადგილობრივი საწარმოები იწყებენ ფინანსურად გაძლიერებას და ანხორციელებენ ინვესტიციებს საზღვარგარეთ (მე-2-ე და მე-3-ე ფაზა). ჩინეთის და ინდოეთის ეკონომიკებმა საინვესტიციო განვითარების გზის მე-2-ე ფაზას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში მიაღწიეს. ნეტო-პუი-პოზიცია იწყებს გაუმჯობესებას მაღალ-ტექნოლოგიური და მეცნიერებატექვადი საქონლის და მომსახურების წარმოების განვითარებასთან ერთად (მაგ: საინფორმაციო ტექნოლოგიები ინდოეთში; სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები ჩინეთში). განსაკუთრებით, თუკი ეს პროცესი მიმდინარეობს საინვესტიციო განვითარების გზის მე-4-ე ფაზაზე მყოფი, წამყვანი ქვეყნების ტნკ-ების მეშვეობით, მრეწველობის მოდერნიზაციის გონივრული პოლიტიკის ჩარჩოებში.

უნდა აღინიშნოს რომ, ცალკეულმა რეგიონებმა ქვეყნებმა (მაგ. ცენტალურ და აღმოსავლეთ ევროპაში), ძირითადი პუი-ს თეორიების საფუძველზე, შეიმუშავეს თავიანთი საკუთარი ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია. აზიის, კერძოდ კი ჩინეთის და ინდოეთის მთავრობები კი, ანხორციელებენ ერთგვარ „ჰიბრიდულ“ პოლიტიკას, და უკვე არა იმპულსურად, არამედ უკვე შეგნებულად არეგულირებენ პუი-ს ნაკადების შედინებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში.

რა დასკვნა შეიძლება გააკეთონ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა „ეკლექტიკურ პარადიგმაში“ და „საინვესტიციო განვითარების გზის თეორიაში“ განხილული საკითხების შესწავლის შედეგად.

პირველ რიგში კაპიტალის და ნოუ-პაუს სისტემური მოზიდვისათვის, რაც ქვეყნის მრეწველობის კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, საჭიროა ქვეყნის L-უპირატესობების შესწავლა.

არ უნდა მივიჩნიოთ რომ, L-უპირატესობები შემოიფარგლება ბუნებრივი რესურსებისა და იაფი მუშა ხელის თანხედრით. გამოცდილებამ აჩვენა რომ პუი-ს ნაკადები მიმართულია ისეთი ქვეყნებისაკენ, სადაც შედარებით უპირატესობები მხოლოდ აღნიშნული რესურსების და წარმოების დაბალი თვითღირებულების ფორმით არ გამოიხატება. იგი ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკის გონივრულ მართვასთან. ასევე მყარ საკანონმდებლო ბაზასთან და ეკონომიკური ზრდის და შემდგომი განვითარების კარგ პერსპექტივასთან.

გაეროს საერთაშორისო ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის UNCDAT -ის „ანგარიში მსოფლიო ინვესტიციების შესახებ 2011“-ის მიხედვით საქართველოს მოზიდული და გამავალი სა-

ინვესტიციო ნაკადების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში მლნ აშშ დოლარებში:

	1996-2004	2005-2007	2008	2009	2010
შემავალი პუი-ს ნაკადები	188	1124	1564	658	549
გამავალი პუი-ს ნაკადები	3	-10	70	-1	6

წყარო: Country fact sheet: wir11_fs_ge_en.pdf
UNCTAD, World Investment Report 2011;
www.unctad.org/wir ან www.unctad.org/fdistatistics.

ეს მაჩვენებლები ცხადყოფს რომ ჩვენ ჯერ კიდევ საინვესტიციო განვითარების გზის პირველ ეტაპზე ვიმყოფებით. პუი-ს ექსპორტი შესაძლებელია გაიზარდოს, მხოლოდ მოზიდული ნაკადების მეშვეობით ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების და კონკურენტული უპირატესობების გაზრდის შემთხვევაში. როგორც იმავე UNCDAT -ის ანგარიშით ხდება ცნობილი, კაპიტალის უმსხვილეს ექსპორტიორებს წარმოადგენენ ის ქვეყნები, რომლებიც არიან მრეწველობის გიგანტები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად გაიზარდა რეინვესტირებული მოგების წილი მთლიან პუი-ში, რაც უდაოდ დადებითი მოვლენაა. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული პუი-ები რენტაბელურია და მნიშვნელოვან მოგებას იძლევა. რაც თავის მხრივ მისი რეინვესტირების საშუალებას იძლევა.

	2006	2007	2008	2009	2010	2011*
რეინვესტირებული მოგების წილი მთლიან პუი-ში (%)	5.4	2.4	4.9	-8.4	28.1	38.5

* წინასწარი მონაცემები

წყარო: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2011-Geo.pdf

UNCDAT-ის იმავე ანგარიშის მიხედვით, რომელიც ასევე აქვეყნებს რეიტინგს, ქვეყნების როგორც პუი-ს მიმღების ეფექტურობისა და პოტენციალის შეფასების ინდექსების (Inward FDI performance Index და Inward FDI Potential Index) მიხედვით, საქართველოს პოზიციები გაუამჯობესდა. გამოკვლეულ 141 ქვეყანას შორის, ეფექტურობის მაჩვენებ-

ბლის მიხედვით 2008 წლის 57-ე ადგილიდან 2009 წელს 46-ე, 2010 წელს კი 35-ზე გადაინაცვლა. პოტენციალის ინდექსის მიხედვით 2008 წელს 104-ე, ხოლო 2009 წელს 103-ე პოზიციაზე იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი სახარბიელო მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი 12 დამოუკიდებელი ცვლადისაგან შემდგარი კომბინირებული მაჩვენებელია, რომელთაგან თვითოეული მათგანი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ-სოციალურ გარემოს შეფადების მიხედვით დგინდება.

The Eclectic Paradigm of attracting foreign direct investments and its application perspectives in Georgia

khatuna kharkhelauri

SUMMARY

This article describes the origins, and traces the subsequent evolution of the eclectic paradigm. It does so in the light of the changing characteristics of MNE activity and of the global economic scenario. The article

concludes by asserting that the eclectic paradigm still remains a powerful and comprehensive framework for examining contextual specific theories

of foreign direct investment and international production. As well the article concerns the possibility to use Dunning's eclectic paradigm, that includes ownership, location and internalization advantages, in explaining trends in foreign direct investment (FDI) inflows to Georgia. That only in a small extent contribute to sustainable country's integration into world production systems.

Key words: Eclectic paradigm; FDI; MNEs; Strategy; International production; Alliances.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. John H. Dunning **The Eclectic (OLI) Paradigm of International Production: Past, Present and Future**// International Journal of the Economics of Business Vol. 8, No. 2, 2001, pp. 173± 190
2. John H. Dunning, H. Peter , Gray **Extending the eclectic paradigm in international business**, 2003
3. World Investment Report 2011. Non-Equity Modes of International Production and Development <http://www.unctad.org/templates/WebFlyer.asp?intItemID=6018&lang=1>
4. Фишер Пауль, **Привлечение прямых иностранных инвестиций в Россию: 5 шагов к успеху** Наука, 2004.